საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№30 (6406) 12 მარტი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

## სადღეისო საზრუნავი

ჩვენს მიწათმოქმედთ წელს რთული გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი. მათ ორგანიზებულობაზე, მიზანდასახულობასა და გერგილიანობაზე დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო წლის მთელი მოსავლის ბედი. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონონ უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის. ეს კი ამთავითვე მოითხოვს დიდ გარჯას და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობას.

როგორ ემზადებიან გაზაფხულისათვის—ამ საკითხზე გვიპასუხებს ორბელის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი გურამ გზობავა:

ხარისხიანი თესლი რომ უხვი მოსავლის [illegible] ეს ყველა მეურნემ [illegible] იცის. ამჟამად [illegible] ობაში საგაზაფხულო მარცვლეულის არც ერთი სახის თესლი არ გაგვაჩნია. [illegible] თვით მოიჯარეები უზრუნველყოფენ თავიანთი თესლით სამარცვლე ფართობებს.

საგაზაფხულო თესვის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ტექნიკის დროულ და საიმედო მომზადებაზე. კოლმეურნეობაში არსებული ორი ტრაქტორიდან ერთია გამართულ მდგომარეობაში (მექანიზატორი შოთა ბურჯალიანი), ხოლო მეორე დაყენებულია სარემონტოდ. მექანიზატორი მურმან აბაშიძე თვითონვე უზრუნველყოფს მის მზადყოფნას.

კოლმეურნეობაში დაიწყო ვაზის სხვლა. თავიანთ ნაკვეთებს პირველები ეწვივნენ ჯიუ [illegible] გურგუჩიანი, ჭიჭიკო გზობავა, ბიძინა ბურჯალიანი, შარდენ გოლეთიანი.

დღეისათვის დამზადებულია 3 ათასი ცალი ჭიგო და 500 ცალი ბოძი. ვგრძნობთ, რომ საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი დაბალია, მაგრამ ეს გამოწვეულია აზრთა გაორებით, რომელიც ამჟამად სუფევს რაიონში.

კოლმეურნეობა იარსებებს თუ არა, საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში ჩამორჩენა დაუშვებელია, რადგან წლევანდელი მოსავლის ბედზე დიდად არის დამოკიდებული თავისუფლების გზაზე მდგარი საქართველოს ეკონომიკური ძლიერება.

ზ. ბაქრაძე.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მოვალეობის შესრულება.

2. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ შერჩეულმა საოლქო სარეფერენდუმო კომისიებმა მუშაობა დაიწყონ ა წლის 7 მარტიდან, ხოლო საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა — არაუგვიანეს 12 მარტისა.

3. ამომრჩეველთა სიები საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა საჯარო გაცნობისათვის გამოიტანონ არაუგვიანეს 21 მარტისა.

4. დაევალოს ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას რეფერენდუმის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, თანხების განაწილებისა და გამოყენების წესის დადგენა.

5. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს საერთაშორისო მეთვალყურეთა მოწვევა და რეფერენდუმზე დასწრება.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეთხოვოს „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოაყალიბოს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიასა და უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო ან საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს ქმნიან საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი წესით".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 5. მარტი.

---

## ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ცაგერის რაიონში საკრებულოთა არჩევნებისათვის დაკომპლექტდა საუბნო-საარჩევნო კომისიები შემდეგი შემადგენლობით

### ორხვის № 1 საარჩევნო უბანი

**შალვა ბაგრატის ძე გაბიძაშვილი**, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარე.

**ომარი სანდროს ძე გაბიძაშვილი**, ორხვის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ლეილა აკაკის ასული მახარობლიძე**, ორხვის ბიბლიოთეკარი, უპარტიო, კომისიის მდივანი.

**წევრები:**

**მაია ნაომის ასული მიქაუტაძე**, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

**მექი კლიმენტის ძე ქვარიანი**, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი.

### ტვიშის № 2 საარჩევნო უბანი

**გიორგი ეტიფანეს ძე ასათიანი**, ტვიშის კოლმეურნეობის აგრონომი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარე.

**აზა ხარლამპის ასული ყვირილიანი**, ტვიშის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველი, უპარტიო, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ნელი სამსონის ასული ასათიანი**, ტვიშის სოფლის ბიბლიოთეკარი, უპარტიო, კომისიის მდივანი.

**წევრები:**

**ცირა ბონდოს ასული გაბიძაშვილი**, ტვიშის სოფლის კლუბის გამგე, უპარტიო.

**გიული შალვას ასული ლაჭყეპიანი**, ტვიშის კოლმეურნეობის მოლარე, სდკპ წევრი.

**მედიკო ივანეს ასული ჩხაბერიძე**, ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სდკპ წევრი.

**ლეილა გიორგის ასული ქათამაძე**, ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

### ალპანის № 1 საარჩევნო უბანი

**რეზო სერგოს ძე ჯანაძე**, ალპანის კოლმეურნეობის აგრონომი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარე.

**მიტუშა ვარლამის ძე ლარცულიანი**, ლაჯანურჰესის მუშა, უპარტიო, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**დარიკო ვაჟას ასული ფრუიძე**, ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, უპარტიო, კომისიის მდივანი.

**წევრები:**

**ციცო რაჟდენის ასული ფრუიძე**, ლაჯანურჰესის ინჟინერი, უპარტიო.

**ციცინო გივის ასული ურთმელიძე**, ალპანის ფოსტის ოპერატორი, უპარტიო.

**ზაურ ნოეს ძე ფრუიძე**, ალპანის პურსაცხობის მუშა, უპარტიო.

**ტარიელ ვარლამის ძე ჯანაძე**, ალპანის საუბნო საავადმყოფოს მძღოლი, უპარტიო.

### ზოგიშის № 2 საარჩევნო უბანი

**რეზო პლატონის ძე ხვადაგიანი**, ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარე.

**კლიმენტი ონისიმეს ძე ხვადაგიანი**, პენსიონერი, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ელისო შოთას ასული გოქაძე**, ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, კომისიის მდივანი.

**წევრები:**

**მედიკო ალექსანდრეს ასული ხვადაგიანი**, ზოგიშის სასოფლო კლუბის გამგე, უპარტიო.

**მიმოზა ჯულულოს ასული ხვადაგიანი**, ალპანის ფოსტის მეელსმენე, უპარტიო.

**ბეჟან გურგენის ძე ასათიანი**, ზოგიშის მაღაზიის გამყიდველი, უპარტიო.

**იური ტრიფონის ძე გოქაძე**, ალპანის უბნის ელმონტიორი, უპარტიო.

### საირმის № 3 საარჩევნო უბანი

**გურამი სევარიონის ძე ჭოხონელიძე**, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, კომისიის თავმჯდომარე.

**ჯუმბერ აკაკის ძე ალავიძე**, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**მაია იაშას ასული სანიკიძე**, ალპანის დარგობრივი გაერთიანების ბუხჰალტერი, უპარტიო, კომისიის მდივანი.

**წევრები:**

**ლეილა არქიფოს ასული გოლეთიანი**, საირმის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, უპარტიო.

**ოთარ სპირიდონის ძე ხუციძე**, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სდკპ წევრი.

**გენრიეტა სემსონის ასული ალავიძე**, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

**რეზო მიშას ძე სილაგაძე**, საირმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

---

დასასრული მორიგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკოლოგიაც, ეკონომიკაც

1991 წელი ძალას იკრებს, პირველი კვარტალის ბოლო თვეც დადგა. შრომით კოლექტივებში ჩამოყალიბებულია აზროვნება მიმდინარე წლის დავალებათა შესრულების, სამომავლო პერსპექტივების განკვეთის, ახალი რეზერვების ძიების, სფეროს ანგარიშიანი გაძღოლის თვალსაზრისით.

ადამიანები კი ფსიქოზამდე არიან მისული. საქართველოს ასეთი განსაცდელის ჟამი თავის ისტორიაში იშვიათად ჰქონია. პოლიტიკურმა ბრძოლამ, პირადმა ამბიციებმა, ემოციებმა, ძმათა შუღლმა დაგვლალა. სამწუხაროდ პოლიტიკოსობს ისიც, ვისაც შეზღუდული ეროვნული ხედვა აქვს, ან კიდევ ღვარძლსა და შურს ანთხევს და ამას ეროვნულ სამსახურად თვლის.

ამ ძნელ, ურთულეს ჟამს ჩვენვე უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, რომ ძალ-ღონე მოვიკრიბოთ და ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, ვაკეთოთ საქართველოს სასარგებლო საქმე, რომლისთვისაც ყოველდღე მოგვიწოდებს ხალხის ნებითა და სურვილით არჩეული უზენაესი საბჭო.

ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივს კარგად ესმის, რომ ეროვნულ საქმეს აკეთებს: ესაა ახალი ტყეების გაშენება, ტყის მოვლა, სანიტარული გასუფთავება, ეროზიული ადგილების გამწვანება, დამხმარე მეურნეობების შექმნა და ა. შ.

სულ სატყეო მეურნეობის განკარგულებაშია 14.000 ჰექტარი ტყე-სავარგული. გასულ წელს 980 კუბური მეტრი შეშა დაუმზადეს და მიუზიდეს საწარმო-ორგანიზაციებს, კოლექტივი დღევანდელ რთულ ეკოლოგიურ სიტუაციაში სწორად იქცევა, როცა აქცენტი ტყის მოვლასა და სანიტარულ ჭრაზე გადააქვს. სანიტარული ჭრით შარშან 3258 კუბური მეტრი შეშა დაამზადეს, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

კოლექტივი გმობს წარსულის მავნე ტენდენციებს, როცა ტყის მოვლა-დაცვაში, ეკოლოგიური ფაქტორების რეგულირებაში განუკითხაობა და უკონტროლობა სუფევდა. ბოლო წლებში ამ მიზნით გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ, ტყის ბარბაროსული ჭრაც შედარებით შემცირდა. ახლა მთელი კოლექტივი უბნებში საკონტროლო გასვლაზეა დასაქმებული, რათა აღრიცხვაზე აიყვანონ ტყის ყველა მასივი, ახალშენები, სანერგეები.

გარკვეული მუშაობა წარიმართა ეროზირებული მიწების აღდგენისა და გატყევების მიზნით. ასეთ ტერიტორიებზე შარშან 10 ჰექტარზე გაშენდა კაკლის პლანტაცია. მარტო მეწყრული სოფლის რეხის მიდამოებში 5000 ძირი ნიგოზი დარგეს, რომლის გახარების პროცენტი 85-ია. მაგრამ ამ მიზნით სერიოზული სამუშაო წინაა, რამეთუ მთის რელიეფის, მეწყრისა და ღვარცოფის წამალი, როგორც იტყვიან, ტყე იყო და არის. ამ გაზაფხულს სოფელ ოყურეშის თავში ეროზირებული 10 ჰექტარი ფართობის გაკულტურება აქვთ დაგეგმილი, სადაც საკუთარი წარმოების 6000 ძირ კაკლის ნერგს გააშენებენ. ამის შესაბამისი აგროვადებიც კარზეა.

სატყეო მეურნეობას დამხმარე წარმოების სახით აქვს მეღორეობის ფერმა. ორი აზრი არ არსებობს, მეღორეობა მომგებიანი დარგია და წლების მანძილზე ამაგრებდა მეურნეობის ეკონომიკას. მაგრამ დღეს საგონებელში არიან ტყის მუშაკები: მარტო ტყის რესურსებით ვერ უზრუნველყოფენ ფერმის გამოკვებას. კომბინირებული საკვების ფასი კი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ფერმას. ამასთან ფერმა ჩქუმის ტერიტორიაზეა, ცივი ტყის ზოლში და კლიმატიც უარყოფითად მოქმედებს პირუტყვზე, და რა ქნან, იციან დარგისათვის ხელის კვრაც დანაშაულია. ფიქრობენ, იქნებ ადგილი გამოძებნონ, სიმინდი ან სხვა საკვები კულტურა მოიყვანონ.

სატყეო მეურნეობას 40-მდე ფუტკრის ოჯახი აქვს. თავდაპირველად 100 იყო. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად შარშან 280 კილოგრამი თაფლი მიიღეს. ფუტკრის დაავადების მიზეზით ასე კატასტროფულად შემცირდა ფუტკარიც და მისგან მიღებული პროდუქციაც. ტყის მუშაკებმა გადაწყვიტეს წელს თავად მიხედონ ფუტკარს. მეტი გულისყური და დრო დაუთმონ ამ ეროვნული დარგის აღმავლობას. დღეს ქართული თაფლი ვალუტაზე იყიდება და საქართველოს ღირსებისა და შემოსავლის საქმეა.

გასული წლის ეკონომიკური მაჩვენებელი (5000 მანეთის მოგება) და ახალგაზრდა კოლექტივის ძალისხმევა, ეკონომიკური აზროვნება გვაფიქრებინებს, რომ სწორად მართავენ ეკოლოგიურ ფაქტორებს, იხედებიან პერსპექტივაში, კარგად ხედავენ ნაკლსა და პრობლემებს და ამდენად მათგან უკეთეს უკუგებასა და ბუნების ერთგულ ქომაგობას მოველით.

# გზა სიძნელეების მიუხედავად

საქართველოში დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება გულს უხარებს ჩვენი ბედოვლათობით გათავხედებულ მტერს. დღითიდღე იზრდება სამაჩაბლოში დახოცილ თუ ლტოლვილ ქართველთა რიცხვი. ამ სისხლისღვრის დღეებში ღალატის სცხელა იმისთვის, ვაკეთოთ ჩვენი საქმე, ავიღოთ და შევასრულოთ კონკრეტული გეგმები, დავინახოთ პერსპექტივა. არადა, უამისოდ შეუძლებელია. საქმეს თუ ერთი წუთით ვუღალატეთ, მერე ძნელია ხარვეზების გასწორება, ჩამორჩენის დაძლევა.

ცაგერის 23-ე საგზაო სამმართველოს კოლექტივს შრომის კარგი ტრადიციები აქვს. ამ სამმართველოს განკარგულებაში არსებული გზა ნორმალურია. მთიანი რაიონის კლიმატს, რელიეფს ორგანიზებული შრომას უპირისპირებენ გზის მშენებლები და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მგზავრობა ზამთრის თუ ზაფხულის მთელ მანძილზე არ ფერხდება. გასული წლის გეგმაც შეასრულეს საგზაო სამმართველოს მშენებლებმა.

მაგრამ ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მიმდინარე წლის მიჯნაზე. ხელმძღვანელობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ არა აქვთ დაფინანსება, არანაირი მომარაგება, არც გეგმაა ჩასმული. თუ ასე გაგრძელდა, გვითხრა საგზაო სამმართველოს უფროსმა კობა გოგიძემ, ალბათ საწარმო უნდა გაუქმდეს. არადა, ლეჩხუმში შეგვიძლია გზა უპატრონოდ მივატოვოთ, თუნდაც ერთი [illegible] საათით?

ზემოთაღნიშნულის მიუხედავად კოლექტივს არცა აქვს მორალური უფლება და არც არის ხელებდაკრეფილი. მილიონნახევარი მანეთის სამუშაოების შესასრულებლად არიან მობილიზებული მშენებლები ცაგერი-წყალტუბოს გზის სარეწკელას ტერიტორიაზე დამთავრდება ასფალტის მეორე პირის სამუშაოები, დასრულდება ლვედში გზის ნაპირსამაგრის სამუშაოები. ძეძილეთის მონაკვეთზე დასრულდება მთლიანად ახალი გზის მშენებლობა.

წელს ცაგერი-წყალტუბოს გზის მონაკვეთზე ახლის მშენებლობა არ აქვთ დაგეგმილი. მთელი მუშა ძალა და ტექნიკა უნდა გადაისროლონ ლენტეხის მიმართულებით, სადაც შესრულდება გზის კეთილმოწყობის სამუშაოები იმ გარანტიით, რომ ამ გზაზე ფაინიშნოს იკაროსის მარკის ავტობუსები, რაც სასიამოვნო და კარგი საჩუქარი იქნება მთელი ლეჩხუმ-სვანეთისათვის.

როგორც არასდროს, ისეთი არასახარბიელო მდგომარეობაა სამშენებლო მასალებით მომარაგების თვალსაზრისით.

სიძნელეების მიუხედავად, კოლექტივი ცდილობს არ უღალატოს შესანიშნავ ტრადიციებს, საქმეს, გზის და მისი კეთილმოწყობა-მშენებლობის პრობლემები მაინც აცილოს ადამიანებს.

**მ. ძნელაძე.**

# საქმე დროულ გადაწყვეტას მოითხოვს

ორ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც გაზეთ „ლეჩხუმის" ფურცლებზე გამოვაქვეყნე პუბლიკაციები ჩვენი რაიონის მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების პრობლემებზე. დავსვი საკითხი გაზეთის ერთი კუთხე დათმობოდა აღნიშნული პრობლემების გაშუქებას, რადგან პუბლიკაციებში დასმული საკითხების დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ლეჩხუმში როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის, ასევე რაიონის მთელი ეკონომიკის ამაღლებას და, რაც მთავარია, ლეჩხუმელი მშრომელი კაცის დაინტერესებას და მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნულ პუბლიკაციებში დასმული ბევრი საკითხის რეალიზაციისათვის გავატარეთ კიდეც რიგი ღონისძიებანი, მივაღწიეთ იმას, რომ სულ მალე სავაჭრო ქსელში გამოვა ახალი მარკის ლეჩხუმური ღვინო სახელწოდებით, „ლეჩხუმი", რომელიც დავამზადეთ 51,0 ათასი დალის რაოდენობით. ორბელის ღვინის საწარმოში უკვე დაწყებულია ღვინოების დამუშავება. დამუშავების ციკლშია ჩაყენებული „ოჯალეში"—8,0 ათასი დალი, „ტვიში"—6,0 ათასი დალი, ნახევრად მშრალი „ლეჩხუმი"—30,0 ათასი დალი, ნახევრად ტკბილი „ალაზნის ველის წითელი"—10,0 ათასი დალი. აღნიშნული ღვინოების დამზადებით მოგება საშუალოდ 1 დალზე შეადგენს 5 მანეთს. ღვინის დამუშავებისათვის საჭირო ინვენტარი და დამხმარე მასალები უკვე მიტანილია ორბელის ღვინის საწარმოში.

დაისვა რაიონში არსებული იმ კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამუშავების საკითხი, რომელსაც ვერ ამუშავებს სასურსათო კომბინატი და ხილი რაიონს გარეთ გადის. უკვე დამუშავების სტადიაშია ახალი ტიპის მაგარი სასმელის ტექნოლოგია და ახალი მარკის ლეჩხუმური ხილის ღვინო. ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარმა სამმართველომ დაგვიჭირა მხარი და ხილის მიღების სეზონზე დაგვრთავს კურკოვანი და თესლოვანი ხილის გარკვეული რაოდენობის მიღების ნებას. ხილის მიღებისათვის მზადება უკვე დავიწყეთ ორბელის საწარმოში და ვფიქრობთ გვექნება ახალი მარკის ლეჩხუმური მაგარი სასმელი და ხილის ღვინო.

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი გახდა მინერალური წყლების ჩამოსხმა. თავიდან, როცა ეს საკითხი დავაყენეთ, მოწონებით შეხვდნენ როგორც რაიაღმასკომში, ასევე იმ სამქროში, სადაც ხდება აღნიშნული წყლების ჩამოსხმა (ჩვენ მათ დავპირდით ყოველმხრივ დახმარებას). რა თქმა უნდა, ხელსაც არ შევუშლით და გამოვიყენებთ იმ წყლებს, რომლებიც უმოწყალოდ იღვრება.

აღნიშნული საკითხების მოგვარებაში დიდ დახმარებას გვიწევს როგორც რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს წყლები", ასევე ჩვენი კომიტეტი. ქუთაისის ტერიტორიაზე გამოგვიყვეს საკმარისი ფართობი რკინიგზის ჩიხით. ქალაქის აღმასკომმა მიიღო დადგენილება აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩავატაროთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველო დიდ დახმარებას გვიწევს. გამოგვიყო საკმარისი თანხა, მანქანა-მოწყობილობები, დიდი მიღწევა იქნება ქუთაისის ბაზა გავხადოთ იმ ობიექტად, სადაც მოხდება მინერალური წყლების ჩამოსხმის გარდა, ჩვენი ღვინის პროდუქციისათვის საბოლოო სახის მიცემა პროდუქციის ბოთლებში ჩამოსხმით. აღნიშნული საკითხი ყველა დონეზე შეთანხმებულია, სულ მალე დამთავრდება პროექტების შედგენა.

ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ მე მაინც გულისტკივილით მინდა აღვნიშნო იმ წინააღმდეგობების შესახებ, რასაც საბოლოოდ წავაწყდით იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარი სამუშაოები დავიწყეთ ძულურისა და ლაშიჭალის ტერიტორიაზე. ამჟამად მინერალური წყლების ჩამოსხმის საამქრო აცხადებს პრეტენზიას, თითქოს არ არის წყლის დებეტი, ისინი არ არიან თანახმა აღნიშნული წყლები ჩამოვასხათ „ძულურის" და „ლაშიჭალის" სახელწოდებით, რადგან მათ ჩვენ თითქოს გავუწევთ კონკურენციას და სხვა.

მინერალური წყლების ჩვენს მიერ ჩამოსხმის იდეა და ინიციატივა ეკუთვნის ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოსა და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს წყლების" ხელმძღვანელობას. ჩვენს რაიონშიც თითქმის ყველა თანახმა იყო, ამჟამად კი..

რაც შეეხება ქუთაისის ტერიტორიაზე ბაზის და იქ საჩამომსხმელო ხაზების მოწყობას, ეს ყოველმხრივ გამართლებულია, რადგან ორბელში მინის ტარის მანქანებით შემოზიდვა, ჩამომსხმელი მანქანებით გაგზავნა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ქუთაისში ყველაფერი ეს მოხდება რკინიგზის ტრანსპორტით.

დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ხელს შეუწყობს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას და ბევრი გამოუყენებელი რეზერვის ამოქმედებას, რაც საბოლოოდ წინ წასწევს რაიონის ეკონომიკას და გაზრდის ლეჩხუმელი კაცის დაინტერესებას და მკვეთრად გააუმჯობესებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ ამ საშური საქმის დროულად მოგვარებაში ხელი არავინ არ უნდა შეგვიშალოს, პირიქით, ყველა უნდა დაგვეხმაროს, რომ ეს ღონისძიებები დროულად განვახორციელოთ.

**ჯ. ახვლედიანი,**
ორბელის ღვინის საწარმოს წარმოების გამგე.

ჰონორარი გადაირიცხოს სამაჩაბლოს ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპეციალისტი გვირჩევს

# გაზაფხულია, ხეხილის მავნებლებთან ბრძოლა დაიწყო

უკანასკნელ წლებში საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ძლიერ გავრცელდა ხეხილის მავნე მწერები—კალიფორნიის ფარიანა, იისფერი ფარიანა, ბურტყლა ბუგრი, მსხლის ფსილა, ატმის ბუგრი, წითელგალებიანი და მწვანე ბუგრები, რომლებიც იწვევენ მცენარის გაუფერულებას, დაზიანებული ნაწილების დაგრეხვას, დახუჭუჭებას, დანაოჭებას, კორძების გაჩენას, ჭკნობას და გახმობასაც კი.

ფარიანები აზიანებენ შტამბს, ტოტებს, ყლორტებს, ნაყოფს და ფოთლებს. ნაწუწნ ადგილებში ქერქი სკდება და ცვივა, ასეთი დაზიანებული ხეები ხმებიან.

ბურტყლა ბუგრი აზიანებს მცენარის ყველა ორგანოს, ღეროს, ტოტს, ყლორტს, ფოთოლს. ნაჭუჭნი ადგილები ბურცდება, კოყრდება და ბოლოს კანი სკდება. ვაშლის ხეების დაზიანებული ადგილები დაფარულია თეთრი ბურტყლით—ცვილი.

მსხლის ფსილას მატლები და ნიმფები აზიანებენ კვირტს, კოკრებს, ყვავილის ყუნწს, ფოთლებს და ყლორტებს, რაც იწვევს მცენარის საერთო დასუსტებას. ისინი პირდაპირი ზიანის გარდა მცენარეს არაპირდაპირ ზიანსაც აყენებენ—მატლების და ნიმფების გამონაყოფზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო, რითაც მცენარის ბუგები იხურება. და ეკარგება სუნთქვისა და ფოტოსინთეზის უნარი.

წითელგალებიანი და მწვანე ბუგრები ძირითადად იკვებებიან ფოთლებით, სანამ ისინი გაუხეშდებოდნენ. მწვანე ბუგრების ნაწუწნი ფოთლები იკრუნჩხება, ყლორტები კი იგრიხება. წითელგალებიანი ბუგრების მიერ დაზიანებული ადგილები იფარება წითელი გალებით. ძლიერ დაზიანებული ფოთლები, ნასკვები და ნაყოფები ნაადრევად ცვივა. ამავე დროს მცენარეში ხდება ფიზიოლოგიური ცვლილებები—ქლოროფილი და ქსანტოფილი მცირდება, ხოლო კაროტინი სრულებით ქრება.

ბრძოლის ღონისძიებანი: აღნიშნული მავნებლების მიმართ უნდა ჩატარდეს ინტეგრირებული (ბიოლოგიური და ქიმიური მეთოდების შეთანწყობა) ბრძოლა. ინტეგრირებულ ბრძოლას საფუძვლად უნდა დაედოს მავნეობის ეკონომიური და ბიოცენოლოგიური ზღვარი (რომლის განსაზღვრა რაიონებში მეურნეობებისა და კოლმეურნეობებში ენტომოლოგის მიერ უნდა ხდებოდეს). აღნიშნული ზღვარის საშუალებით მკაცრად იქნება რეგლამენტირებული პესტიციდების გამოყენების დრო, პირობები და ვადები.

პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ფარიანების მიმართ ღონისძიების (ქიმიური) გატარებას—არის მისი გავრცელება ე. ი. კრიტიკული რიცხობრიობა სმ2-ზე—3-5 ფარიანა (უფრო დაბალ რიცხობრიობაზე შესხურება არ მოხდება). ხეები უნდა შესხურდეს პრეპარატ №30-5 პროცენტიანი ემულსიით (5 პროცენტიანი სამუშაო ემულსიის დამზადებისას ყოველ 95 ლიტრ წყალზე აიღება 5 კილოგრამი ზეთის კონცენტრატი). აღნიშნული წამლობა უნდა ჩატარდეს თესლოვან ხეხილზე კვირტების გახსნამდე, ხოლო კურკოვანებზე კვირტების დაბერვამდე. ამ პერიოდში დაზამთრებული ფარიანა ილვიძებს და შხამის მოქმედება ეფექტურია.

ხოლო ბუგრების და ფსილების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა მათი კრიტიკული რიცხობრიობა საშუალოდ ერთ ფოთოლზე 6-9 ცალია. (დაბალ რიცხობრიობაზე წამლობა არ ჩატარდება). შესხურება უნდა მოხდეს კოკრების გამოჩენიდან ყვავილობამდე ბი-58-ის 0,1 პროცენტიანი ემულსიით.

ბურტყლა ბუგრის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდ[illegible] [illegible]პარაზიტი [illegible] [illegible] ბურტყლა[illegible] [illegible]ლინუსის ბიოცენოლოგიური ზღვარი ბუნებაში ძლიერ დაბალია, ამიტომ ხელოვნურად უნდა მოხდეს ბაღში მისი გავრცელება. შემოდგომაზე პარაზიტის გავრცელების კერებში იჭრება ბურტყლა ბუგრის კოლონებით დაფარული 20-25 სანტიმეტრი სიგრძის ტოტები და შეინახება სარდაფში, სადაც ტემპერატურა 8 გრადუს არ აღემატება. ხოლო გაზაფხულზე სარდაფიდან გამოაქვთ და ჰკიდებენ ვაშლის ვარჯში, სადაც ბურტყლა ბუგრი ძლიერ არის მოდებული (ერთ ჰექტარზე საჭიროა 1000-მდე პარაზიტი).

აღნიშნული ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების გატარებით დავიცავთ ხეხილის ბაღებს ამ საშიში მავნებლებისაგან და ვაწარმოებთ მაღალხარისხოვან, სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ ხილს.

**ნანული შაღამბერიძე.**

საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე.

---

# ენგურჰესი: წყლის დონე მინიმუმზე ნაკლებია

ამ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის მთელი ისტორიის მანძილზე წყლის დონემ წყალსაცავში პირველად დაიწია მინიმუმზე დაბლა. ამჟამად იგი მხოლოდ იმ ტენის გამოყენების ანგარიშზე ფუნქციონირებს, რომელიც მასში მდინარეს შეაქვს. ამის წყალობით სადგური დღეღამეში გამოიმუშავებს მხოლოდ მილიონნახევარ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

—ჩვეულებრივ წლის ამ დროს ენგურის ჰიდროელექტროსადგური ექვს მილიონამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას იძლეოდა,—განმარტავს ამ ფაქტს „საქენერგოს" მთავარი ინჟინრის მოადგილე გურამ ქკუასელი.—ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ზამთრის დასაწყისიდანვე წყლის მარაგის მეტად ინტენსიურმა ხარჯვამ.

—რამდენ ხანს გაგრძელდება ენგურზე ასეთი სიტუაცია?

—გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე, რომელიც ჩვენთან დაკავშირებულია მთებში თოვლის დნობასთან და ეს, როგორც წესი, აპრილის პირველ რიცხვებს ემთხვევა.

—რა ღონისძიებებს იღებენ საქართველოს ენერგეტიკოსები ენერგიის დანაკლისის თუნდაც ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის?

თურქეთთან დავდეთ ხელშეკრულება, საიდანაც 26 იანვრიდან ყოველ დღე-ღამეში 2,5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას ვიღებთ. ეს მოცულობა საკმარისია იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ აჭარის მოთხოვნილება. ენერგიას, რომელსაც ამჟამად თურქეთიდან ვიღებთ, ჩვენ მას დავუბრუნებთ ასევე ელექტროენერგიის სახით, მაგრამ ზაფხულის პერიოდში, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია.

ვფიქრობ, რომ ეკონომიკის საერთო სტაბილიზაციის გარეშე ენერგეტიკული კომპლექსის მუშაობაში რაიმე კარდინალური გაუმჯობესების მიღწევა შეუძლებელია.

(საქინფორმი).

---

## კომპენსაციური წყაროდან

# მიღებულია იაპონური საქონელი

ყველასთვის ცნობილია, რა გასაჭირია დღეს სასურსათო პროდუქტებზე. ამ სიტუაციაში ცეკავშირის გამგეობამ გადაწყვიტა ზოგიერთი იმპორტული დეფიციტური საქონელი გასცეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ყველაზე მოწინავე ჩამბარებლებზე.

რაიკოოპერატივის გამგეობამ ამას წინათ მიიღო სარეალიზაციოდ იაპონური ტექნიკა და ცეკავშირის გამგეობის დებულება-რეკომენდაციაც მის რეალიზაციაზე.

ამჟამად რაიკოოპერატივის ცენტრალურ საწყობში მიღებულია ვიდეომისადგმელი „ფიშერი" (2 ცალი), ტელევიზორი „სანიო" (2 ცალი,) საკერავი მანქანა „იაგუარი" (3 ცალი).

ხორცი და რძე უნდა ჩაბარდეს საკომისიო მაღაზიებს ან საზკვების ობიექტებს რაიკოოპერატივით ან შექმნილი კომისიის გავლით საკომისიო ფასებში.

ვიდეომისადგმელისა და ტელევიზორის ყიდვის მსურველმა უნდა ჩააბაროს 2 ტონა ხორცი ან 400 კილოგრამი ყველი, საკერავი მანქანის შეძენისათვის—500 კილოგრამი ხორცი ან 150 კილოგრამი ყველი.

**გ. ქარსელაძე,**

რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგე

---

## სამკურნალო მცენარეები

# ხახვი

მსოფლიოში ხახვის 500-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული, აქედან საბჭოთა კავშირში 230 სახეობა გვხვდება. ზუსტად არ არის ცნობილი საქართველოში პირველად როდის და საიდან გაჩნდა ეს მცენარე, მაგრამ ის უხსოვარი დროისაა.

ხახვის ზოგიერთი სახეობა ბოლქოვანია, იხმარება როგორც ძვირფასი საკვები, სანელებელი და სამკურნალო პროდუქტი. ხახვს რთული ქიმიური შემადგენლობა აქვს. ბოლქვი და მიწის ზედა ნაწილი—ქორფა ფოჩები, შეიცავს ცრემლმდენ ეთეროვან ზეთს, ამიტომ არის, რომ ხახვის დაჭრის დროს თვალები გვილიზიანდება და ვიცრემლებით. ხახვში შედის გოგირდი, შაქარი 10 პროცენტამდე, აზოტოვანი ნივთიერებები, გლუკოზიდი, ალპინინი, საპონინები, „ც" და „ვ" ჯგუფის ვიტამინები, „ა" პროვიტამინი, მქლორავი ნივთიერებები. 100 გრამ მწვანე ხახვში 80 მილიგრამი ასკორბინის მჟავაა, 6 მილიგრამი კაროტინია, რომელიც ადამიანის ორგანიზმში „ა" ვიტამინად გარდაიქმნება. ამ ვიტამინს დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობის შესანარჩუნებლად. რეკომენდებულია ხახვი თავიანთ ულუფაში შეიტანონ ისეთი პროფესიის მუშაკებმა, როგორიც არის: მძღოლები, მფრინავები, პოლიგრაფიის მუშაკები და სხვა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ხახვი და ნიორი მავნებელია ვისაც კუჭის, ნაწლავების, თირკმლების და ღვიძლის მწვავე დაავადებები აქვს.

ისტორიაში ცნობილია ფაქტი, რომ ეგვიპტელი ფარაონი გმირებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ომში ბრძოლებისათვის, უძღვნიდა საჩუქარს, რომელშიც შედიოდა ათასი მარცვალი ბარდა, ასი ტოლჩა ლუდი, ცალი ხარი, ასი კონა პრასა და ხახვი.

ძველი საბერძნეთის სახელოვანი ექიმი ჰიპოკრატე ხახვისაგან ამზადებდა კარგ სამკურნალო პრეპარატებს, ფიქრობდა, რომ ხახვი ადამიანს ანიჭებს მხნეობას, მამაცობას, ძალ-ღონეს და ენერგიას.

სლავებს ანდაზად ჰქონდათ: „ხახვი შვიდი სენის წამალიაო". თანამედროვე მეცნიერებამ ხახვში აღმოაჩინა ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ფიტონციდები ეწოდება. ამ ნივთიერებებს აქვს მიკრობების საწინააღმდეგო მოქმედების თვისება. ახლად დამწვარ სხეულზე თუ დავადებთ ხახვის ფაფას შენელდება ანთებითი პროცესი და შეიძლება წყლულებიც არ გაჩნდეს.

ხახვის ფიტონციდები ხოცავენ დიფტერიისა და ტუბერკულოზის ჩხირებს, სტრეპტოკოკებს და მთელი რიგი ავადმყოფობათა აღმძვრელ ბაქტერიებს. ცნობილია, რომ ხახვის ნარჩენების (ნაქურჩალის) ნახარში ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, იმავე ნარჩენების ნახარშს იყენებენ ბინებში ობობას ქსელის, ტკიპების მოსასპობად.

ხახვის ჯიშებს შორის ყველაზე გავრცელებულია თავიანი ხახვი. ეს ხახვი საჭმელადაც სასიამოვნოა. ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლო.

უახლოესი მონაცემები ადასტურებს, რომ ახალი ხახვი აღვიძებს მადას, აძლიერებს საჭმლის მონელებას, წვენის გამოყოფას და ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმმა უკეთ შეითვისოს საჭმელში შემავალი საკვები ნივთიერებანი. ამიტომ თვითონ ხახვს სპეციალურად მიირთმევენ ჭამის წინ, შეაქვთ საუზმეებისა და კერძების შემადგენლობაში, რითაც უმჯობესდება საჭმლის ხარისხი, არომატი და გემო. ხახვი ძალიან ეფექტური საშუალებაა ქოლესტერინის შემცირებისათვის და აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას.

ზოგჯერ ხახვს იყენებენ ორგანიზმიდან მრგვალი ჭიების გამოსადენად. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევენ მის ჭამას უზმოზე, ნახევარი ჩაის ჭიქა ხახვის ნაყენის დალევას 3—4 დღის განმავლობაში.

ნაყენის მოსამზადებლად საჭიროა დაიჭრას საშუალო ზომის ხახვი, დავასხათ ერთი ჭიქა წყალი და გავაჩეროთ 8—12 საათი. ხახვის თავისაგან დამზადებულ ფაფას იყენებენ კანის ქავილის დროს, ანდა როცა კანზე გამონაყარია. ხახვის ფაფა უხდება ჭორფლს, პიგმენტურ ლაქებს, ფერიჭამელას, მეჭეჭს, თმის გამაგრებას, ამისათვის თავის კანს იზელენ 1—2-ჯერ კვირაში ფაფით.

წვენს და ახლად დამზადებულ ფაფას დოლბანდის საშუალებით ჩირქოვან ჭრილობებზე და წყლულებზე ადებენ, რაც ხელს უწყობს მათ შეხორცებას.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუ ხახვს გავურევთ ბეღლებში შენახულ ხორბალს, უზრუნველვყოფთ ჭია-მატლების თავიდან აცილებას.

ხახვის ფიტონციდები კურნავენ გრიპოზულ სურდოს, დღეში 3-3 ჯერ 10—15 წუთით ცხვირში ადებენ ხახვის ახალი წვენით დასველებულ ბამბის ტამპონებს, აგრეთვე ხმარობენ ყურების ანთების დროს.

საკმარისია 2—3 წუთი დაღეჭილი ხახვი პირში გავაჩეროთ და პირის ღრუ დეზინფექცია ქმნილია. მწვანე ხახვის ფოთლებიდან მრავალი კერძი მზადდება. მაგალითად, მწვანე ხახვის ფოთლები ერბოკვერცხით, მწვანე ხახვი არაჟნით, მწვანე ხახვის სალათა და სხვა.

ხახვი ერთწლიანი მცენარეა, ითესება ადრე გაზაფხულზე, მისი ნერგით გამრავლებაც შეიძლება, რაც სწრაფად იზრდება.

აღნიშნულიდან ჩანს ხახვის მრავალმხრივი მნიშვნელობა, საჭიროა გლეხურ მეურნეობებში იმ რაოდენობით მოვიყვანოთ, რომ მისი ბაზარზე ან სასურსათო მაღაზიებში შესყიდვა აღარ დაგვჭირდეს.

**დანიელ ყურაშვილი.**

ბიოლოგი, ქ. ცაგერი.

---

რედაქტორი

**ნ. ნემსაძე.**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**სოფო გრიგოლის ასულ სალინაძეს**
**კახა ანზორის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული, სიკეთე და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. შვილთა სიმრავლე დაგებედოთ.

**ცაგერის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები.**

**სოფო გრიგოლის ასულ სალინაძეს**
**კახა ანზორის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი. მრავალი შვილი გაგეზარდოთ ერის საკეთილდღეოდ.

**ლეილა და თამაზ ჭელიძეები.**

**ელისო გურამის ასულ ნემსაძეს**
**გულვერ ბიქტორის ძე ბახსოლიანს**

გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღეს—ქორწინებას.
იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ!
დაე, სიკეთე და სიტკბოება ყოფილიყოს თქვენი მომავალი ცხოვრების საწინდარი.

**მაგული გურგუჩიანი, ნატო კოპალიანი, მზია, მერაბ მოსეშვილები.**

## გილოცავთ

**იზოლ, ბახვა კოპალიანებს**
**ნანა, გოგი გოლეთიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის—შვილიშვილისა და შვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ვაჟკაცი. ბედნიერება, ულევი სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

**ნინო, ნუგზარ ბახსოლიანები.**

**ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ბედნიერ და ჯანმრთელ სიცოცხლეს.

**მაკა, ციცინო, ზაზა.**

**ქეთინო ჯანუგის ასულ ხვადაგიანს**
**გოჩა ასკალონის ძე მურცხვალაძეს**

გილოცავთ პირველი შვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. ღმერთი იყოს თქვენი ლამაზი ოჯახის მფარველი.

**რომეო მანდარია ოჯახით.**

**მერაბ ვენედის ძე ახვლედიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთი გფარავდეს აწ და მარადის.

**როლანდ, ქეთინო, თამაზ ჩხეტიანები.**

**ნანული იაკოგის ასულ სვანიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში

**თანაკურსელები.**

**ქეთინო, გოჩა მურცხვალაძეებს**
**ჯანუგი, ვენერა ხვადაგიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. გამრავლება და სიხარული არ მოგაკლოთ განგებამ.

**რომეო ნათია, თეა კალანდაძეები, ალექსი და გიორგი მუშკუდიანები.**

**ნიკა დათოს ძე ქარსელაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი.

**დათო, მამუკა, თამრიკო ქარსელაძეები.**

**მაკა გიგლას ასულ ქვარიანს**
**ილო ვაჟას ძე გორეზიანს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**ლეილა, მედიკო ნემსწვერიძეები, დომნა უგრეხელიძე, ციალა ონიანი, ლოლა ალავიძე, თამარ ქვარიანი, მანანა ბანძელაძე.**

**ნუნუ ანზორის ასულ მუშკუდიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, წინსვლას ცხოვრებაში.

**მაცაცო სვანიძე, დოდო ახვლედიანი, ლოლა ბურჯალიანი, ბელა გოლეთიანი, ხათუნა კოპალიანი.**

---

დედა ნიურა, მეუღლე მადონა, შვილები ოთარი, სოფიკო, ძმა გია, და ციცო, სიძე სოსო კოპალიანი, სიდედრი თინა, სიმამრი ბორისი, ცოლისძმა მამუკა ბენდელიანები, მამიდები ქოზია, ქენია, დეიდა თალიკო, ბიძები ხუტა, გრიშა, ქორა, გენო გაბიძაშვილები, ბიცოლები, ნუნუ, სულიკო, ნათელა, დისშვილები ბერდია, მინდია, მაია, დეიდაშვილი გოჩა, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**დათო ოთარის ძე ქომეთიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალაქ ბოლნისში, 16 მარტს, შაბათს, გამოსვენება 3 საათზე ინტერნაციონალის ქ. №69-დან.

---

ტუხუ გურგუჩიანი, სამსონ ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამბერკი სემინარის ძე სილაგაძე**

---

გრიშა გიორგის ძე, გრიშა სამსონის ძე, სამსონ დავით, დოვლეთი, ლულუნი, ვალიკო, ავერიონ, რაფიელ ნემსწვერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ ალექსანდრეს ძე ნემსწვერიძე.**

---

ორბელის კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა გოდერიძეს სიძის

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარიხე და თამაზ სილაგაძეებს

**მანია სილაგაძე-ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლიმონათის საამქროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირმა მეშველიანს ბიძის

**ოთარ ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რამაზ ახვლედიანი ოჯახით იუწყება

**დოდო სილაგაძე-ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბონდო ჭაბუკიანს

**ნათელა ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჭიჭიკო, ნორა კოპალიანები ოჯახით იუწყებიან

**ნათია ფანჯავიძის**

გარდაცვალებას.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**დათო ქომეთიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯიმშერ, ანზორ ლიპარტელიანებს, იუზა მინდაძეს

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები ამირან ახვლედიანი, მერაბ ჭილვარია, ანდრო ბურჯალიანი, მელანო ჯამბურიძე, ოლეგ გიორგობიანი, ნუგზარ, გია ჭაბუკიანები, ბორის მამარდაშვილი, გოგი მუშკუდიანი, ნანი ხაბულიანი, შევლუდ სილაგაძე, ქიშვარდი ყურაშვილი, ვენედი ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სამა ზერაძეს და მურადი მუშკუდიანს სიძის

**ოთარ ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები გივი, ნანული, და თეო, მაზლი ირაკლი კოპალიანი, რძლები ლუბა, გოგუცა, ოლია, ლენა, შვილიშვილები ლუარა, ფათქუ, თინიკო, სიძეები დადაში გოლეთიანი, როსტომ გასვიანი, მირიან ახვლედიანი, შვილთაშვილები თინიკო, თეა, ნინო, სერგო, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივლიტა ამბაკოს ასული ყურაშვილი-კოპალიანი**

დაკრძალვა 16 მარტს, შაბათს, სოფ. მახაშში.

---

თინა ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნანული და დადაში გოლეთიანებს დედისა და სიდედრის

**ივლიტა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ, ნანი, მაგდა ჯიაძეები იუწყებიან

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანია (დოდო) რაჟდენის ასული სილაგაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გოჩა გოგებაშვილი, კოლია გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ავთო ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება

**მურადი ბიჭილას ძე ლიპარტელიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლასურიაშის სასოფლო საბჭოსა და საქიმო უბნის თანამშრომლები იუწყებიან

**მარო თომას ასული ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას.

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის II კლასელები თანაუგრძნობენ კლასის ხელმძღვანელს აზა ლიპარტელიანს მამის

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალვის საექიმო უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეთერ ბაბლუანს მეუღლის

**ამბერკი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო, იური, როლანდ, კაკო სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან

**მანია (დოდო) სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

შოთა ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნათელა გრიგოლის ასული კოპალიანი-ჩიქოვანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეზობლები ბონდო ლეთოდიანი, ბორის დაწნიანი, თენგიზ, ავთო ჩიქოვანები, მურთაზ ბენდელიანი, გიგი სილაგაძე, ამბროსი კოპალიანი, გენური კვირკაშვილი თანაუგრძნობენ თემურ ლიპარტელიანს ბიძის

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მარგალიტა წინდაძე, ცოლისდა [illegible] ვილები [illegible] ათ დავით [illegible] ელბაქიძეები, ქვისლი ლევან ელბაქიძე, რძლები ციცო კვირკაშვილი, მანანა ყურაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფრიდონ იოსების ძე კუხალაშვილი**

დაკრძალვა 14 მარტს, ხუთშაბათს, სოფ. ზუბში.

---

შვილი ნაზიკო, რძლები მარიამ გამსახურდია, დოდო ასათიანი, ციცო ჭარბაძე, ლია ბარაბაძე, ხათუნა ანთიძე, ნინო ფარცვანია, მაკა ვარდოსანიძე, შვილიშვილები გელა, ცირა, კარლო, გოგი, ნათელა ხეცურიანები, შვილთაშვილები ზაზა, მაკა, გერა, ნანა, დათო, კახა, ქეთინო, გიორგი ხეცურიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მზეხა გიორგის ასული ფუტკარაძე-ხეცურიანი**

დაკრძალვა 16 მარტს, შაბათს, 16 საათზე, ცაგერის რაიონის სოფ. ზედა ლვირიშში.

---

დავით, ნაზი, ზურაბ ლიპარტელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურადი ბიჭილას ძე ლიპარტელიანი.**

---

ბონდო სალინაძე, თამაზ თაგვაძე, რომან ლომთაძე თანაუგრძნობენ გენადი ხმელიძეს დედის

**მარო ჭაბუკიანი-ხმელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები გივი ლეთოდიანი, ვაჟა, იური ბენდელიანები, მალაქი ლიპარტელიანი, შურა ბერიძე, ზაურ ჩიქოვანი, ზაურ მუშკუდიანი, სოსო ლეთოდიანი, გერონტი ცვარიანი, ზურაბ სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურადი ბიჭილას ძე ლიპარტელიანი**

---

თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლორინა ერბელიძეს და რამინ ქარსელაძეს ძმისა და მამიდაშვილის

**მიხეილ ერბელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დარიკო, თინა კოპალიანები თანაუგრძნობენ ნორა გოდერიძეს მეუღლის

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საკოლმეურნეობათშორის სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემურ, მუხრან ლიპარტელიანებს ბიძისა და მამის

**მურადი ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება

**მარო ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას.

---

რაიონული საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ანდროს ასულ ხეცურიანს და ლოლა ჩიქოვანს დეიდისა და რძლის

**ნათელა გრიგოლის ასული კოპალიანი-ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტრისტან გორგასლიძეს ბებიის

**მატრონა გიგოს ასული გორგასლიძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა